შეთანხმების ფურცელი

„გერმანიის მიერ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენების შესახებ“.შეთანხმების პროექტის თაობაზე

უწყება	შენიშვნა	მდგომარეობა
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	სამინისტროს არ გააჩნია შენიშვნები და წინადადებები.	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სამინისტროს მიაჩნია, რომ პროექტის მე-8 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აეროპორტის და ნავსადგურის გადასახადს. პროექტის მე-10 პუნქტთან გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მთავრობის საკუთრებას. შესაბამისად სახლები საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს სახელმწიფოს.	რაც შეეხება პირველ შენიშვნას, 2009 წელს საქართველოს მთავრობამ რომ შემოიღოს ასეთი გადასახადები, ამ მიზნით ხდება აღნიშნული ხელშეკრულებით პრევენცია. რაც შეეხება მეორე შენიშვნას, აღნიშნულში იგულისხმება საქართველოს სახელმწიფო.
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	სამინისტროს კომპეტენციიდან გამომდინარე შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სამინისტროს მოსაზრებით აღნიშნული შეთანხმება საჭიროებს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	პროექტის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია	
რეგიონალური მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	პროექტში წარმოდგენილი პუნქტების მიმართ შენიშნები არ გააჩნია	